ბრძანება № 1-07

25 01 2022წ.

გორი

სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2021-2022 წლის შემოდგომის სემესტრის დასკვნითი/დამატებითი გამოცდების შედეგების გასაჩივრების წესის განსაზღვრის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2021-2022 წლის შემოდგომის სემესტრის ზეპირი ფორმის დასკვნითი/დამატებითი გამოცდები, რომელიც ტარდება დისტანციური/ელექტრონული ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით, ონლაინ პლატფორმის მეშვეობით განხორციელდეს ჩაწერის რეჟიმში.

2. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2021-2022 წლის შემოდგომის სემესტრის წერითი ფორმის დასკვნითი/დამატებითი გამოცდების ჩატარებისას, რომელიც ტარდება დისტანციური/ელექტრონული ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით, სტუდენტის მიერ შესრულებული ნამუშევარი სასწავლო კურსის პასუხისმგებელი ლექტორის მიერ მითითებულ ელექტრონულ მისამართზე გაგზავნილ უნდა იქნეს გამოცდისთვის განსაზღვრული დროის დასრულებამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული ნაშრომი არ ექვემდებარება გასწორებას და იწვევს შეფასების მოცემულ კომპონენტში 0 ქულით შეფასებას. თავის მხრივ, ლექტორი ვალდებულია, მიღებული ნაშრომი გამოცდისთვის განსაზღვრული დროის დასრულებიდან ნახევარი საათის განმავლობაში, გადააგზავნოს უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის ელექტრონული ფოსტის მისამართზე (Sagamocdocentri2@gmail.com).

3. დასკვნითი/დამატებითი წერითი შეფასების შედეგი სტუდენტისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს შეფასების ჩატარებიდან არაუგვიანეს სამი სამუშაო დღისა.

4. სტუდენტს, რომელიც არ ეთანხმება შეფასების შედეგს, უფლებამოსილია, შეფასების მიღებიდან არაუგვიანეს ოთხი სამუშაო დღისა საჩივრით მიმართოს ფაკულტეტის დეკანს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით და მოითხოვოს შედეგის გადასინჯვა.

5. ფაკულტეტის დეკანის მიერ შექმნილი საპრეტენზიო კომისია საჩივრის მიღებიდან 2 დღის ვადაში დისტანციურად განიხილავს საჩივარს და იღებს სათანადო გადაწყვეტილებას. კომისიის სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით მოწვეული უნდა იქნეს შესაბამისი სასწავლო კურსის პასუხისმგებელი ლექტორი. კომისიის სხდომაზე ასევე მოწვეული უნდა იქნენ ის სტუდენტი, რომელსაც შეტანილი აქვს საჩივარი, სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის სამსახურის და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები.

6. სტუდენტის საჩივრის განხილვისას მისი პერსონალური მონაცემების დაცვა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. იმ შემთხვევაში, თუ ლექტორის მიერ ჩასატარებელი ზეპირი შეფასება ხორციელდება ისეთი ონლაინ პლატფორმის გამოყენებით, რომლის მეშვეობითაც ვერ განხორციელდება ჩაწერა, ხოლო სტუდენტი არ ეთანხმება შეფასების შედეგს და მიმართავს ფაკულტეტის დეკანს შედეგების გადასინჯვის მოთხოვნით, ამ სტუდენტისთვის დაინიშნება ხელახალი დასკვნითი გამოცდა, რომლის ჩატარებასაც უზრუნველყოფს დეკანის მიერ შექმნილი შესაბამისი კომისია დისტანციური/ელექტრონული ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით.

8. ონლაინ პლატფორმის მეშვეობით განხორციელებული ზეპირი დასკვნითი/დამატებითი გამოცდების ჩანაწერი შენახულ იქნეს შეფასების გასაჩივრების ვადით.

9. ფაკულტეტებმა კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყონ წინამდებარე გრძანების შესახებ სტუდენტების ინფორმირება.

10. კანცელარიის უფროსმა კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს ამ გრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის;

11. წინამდებარე გრძანების გამოქვეყნება დაევალოს სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე - სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის განყოფილებას.

12. ეს გრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

13. წინამდებარე გრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი